

**განცხადება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ**

1. 2021 წლის 22 მარტს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021 წლის 12 აპრილს 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212; სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: [hr@tsc.edu.ge](mailto:hr@tsc.edu.ge)
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 16 აპრილი 18:00 საათი.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2021 წლის 19 აპრილიდან არაუგვიანეს 2021 წლის 27 აპრილისა. პრეტენდენტთან გასაუბრება, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.
5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 30 აპრილისა.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
  - ა) უმაღლესი განათლების მქონე;
  - ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
  - გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
  - დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
  - ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხადების ფორმა)
  - ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
  - გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
  - დ) ავტობიოგრაფია (CV);
  - ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
  - ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
  - ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
  - თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
აკადემიურ საბჭოს

მოქალაქე \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, მისამართი)

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამომცხადებულ კონკურსში.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_ თარიღი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა